

სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ კონვენცია

წინასიტყვაობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმპირებული სასამართლო პროცესების საზოგადოება („საზოგადოება“) იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა 2018 წლის დეკემბერში დავაარსეთ. დაარსების პროცესში ჩვენი გუნდი აქტიურად თანამშრომლობდა აკადემიკოს ლევან ალექსიძესა და პროფესორ ქეთევან ხუციშვილთან. სწორედ მათი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი არაერთი სტუდენტის წარმატებული მონაწილეობა მრავალ ეროვნულ თუ მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო იმპირებულ სასამართლო პროცესში. ჩვენ ერთად განვიხილავდით საზოგადოების საქმიანობის მომავალს და რამდენიმე საინტერესო პროექტის იდეაც დავსახეთ. ბატონმა ლევანმა, რომელიც მუდამ გვიწევდა მენტორობას თავისი უხვი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებით, მისთვის ჩვეული შემართებითა და ინტერესით დაუჭირა მხარი ახალ სტუდენტურ ინიციატივას.

საზოგადოების წევრები უნივერსიტეტის სახელით იმპირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის დროს გავერთიანდით საერთო იდეის ირგვლივ. გვსურდა, ჩვენთვის მოცემული შესაძლებლობების წარმატებულად გამოყენებით, შექმნილი ცოდნა და გამოცდილება სხვა სტუდენტებისთვის გაგვზიარებინა. ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც შესაძლებელი გახდა ჩვენი წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო იმპირებულ სასამართლო პროცესებში. იმპირებულმა სასამართლო პროცესებმა მოგვცა შესაძლებლობა, გაგვეღრმავებინა ჩვენი თეორიული ცოდნა საერთაშორისო სამართლის კონკრეტულ დარგებში და შეგვეძინა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. ამ პროცესში შევხვდით უამრავ მსოფლიო დონის პროფესიონალსა და ექსპერტს, საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეებსა და სტუდენტებს მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან. ამ ადამიანებთან თანამშრომლობით გაჩნდა მრავალი საინტერესო პროექტი, იდეა თუ პროფესიული შესაძლებლობა. სტუდენტობისას იმპირებულ სასამართლო პროცესებში მიღებული გამოცდილება დღესაც მრავალმხრივ გვხმარება თითოეულ ჩვენგანს, ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში.

ამგვარად, გადავწყვიტეთ, ჩვენი საზოგადოების ძირითად მიზნებად გვექცია: საერთაშორისო და ეროვნული იმპირებულ სასამართლო პროცესების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი პოპულარიზაცია, იმპირებული სასამართლო პროცესების შერჩეული მონაწილე სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სამართლისა და მომიჯნავე დისციპლინების სტუდენტებისთვის თეო-

რიული და პრაქტიკული იურიდიული განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა, სტუდენტთა დახმარება პროფესიულ ჩამოყალიბებაში, კარიერული შესაძლებლობების აღმოჩენასა და პროფესიულ წრეებში ინტეგრაციაში, დაბოლოს, სხვადასხვა ქვეყნებში იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილე სტუდენტთა კომუნიკაციის წახალისება, მათ შორის, ურთიერთთანამშრომლობისა და იდეათა გაცვლის ხელშეწყობა.

მოხარულნი ვართ, რომ გვაქვს შესაძლებლობა ღევან აღექსიდის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში წარმოგიდგინოთ ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული ინიციატივა:

სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ კონვენციის („კონვენცია“) თარგმნა საზოგადოების უახლესი პროექტია. იდეა საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს - ნინო გოშხეთელიანს ეკუთვნის; ნინომ საინვესტიციო სამართლის სფეროში აკადემიურ ნაშრომზე მუშაობისას აღმოაჩინა, რომ კონვენციის ოფიციალური ქართულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომი არ გახლდათ. ამ ფაქტმა ცხადყო, რომ საქართველოში საინვესტიციო სამართლის სფეროს განვითარებისკენ გადასადგმელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სწორედ კონვენციის ქართულ ენაზე თარგმნა უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მათი მოზიდვა მეტწილად დამოკიდებულია სახელმწიფოში სტაბილურ სამართლებრივ გარემოსა და დავების მოგვარების ეფექტიანი მექანიზმების არსებობაზე; ამ პროცესებისთვის გადაამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის სპეციალისტების ჩართულობა. სამწუხაროდ, საქართველოში საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის სფერო ნაკლებად არის განვითარებული. მივიჩნევთ, რომ ამ სფეროს განვითარებისკენ გადასადგმელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სწორედ კონვენციის ქართულ ენაზე თარგმნა იყო.

თარგმანი მოხალისეობრივ საწყისებზე მოამზადა საზოგადოების გუნდმა, **ნინო გოშხეთელიანის, რევაზ ტყემალაძის, გიორგი ბაიძისა და ნანა ყრუაშვილის მონაწილეობით.**

მოველოდით, რომ თარგმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, კონვენციის ქართულენოვან ვერსიაზე სამუშაოდ პროცესი დეტალურად დავგეგმეთ. შედეგად, პირველი სამუშაო ვერსია მალევე გვქონდა. თუმცა, შემდეგი ეტაპი მეტად შრომატევადი გახლდათ. გუნდის ოთხივე წევრი თითოეული მუხლის თარგმანს კრიტიკულად განვიხილავდით და შესაბამისად ვასწორებდით.

ამ პროცესში, მთარგმნელთა ჯგუფმა იხელმძღვანელა კონვენციის ინგლისური და ფრანგულენოვანი ვერსიებით, ასევე, კომენტარებით და ქართულ კანონმდებლობასა და საარბიტრაჟო სამართალში უკვე დამკვიდრებული ტერ-

მინებით. კონვენციის თარგმნა საგრძნობლად გაამარტივა გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით შექმნილმა ქართულენოვანმა ლიტერატურამ, როგორცაა არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი და გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის.

კონვენციის სამეცნიერო რედაქტორები არიან საინვესტიციო სამართლის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო დონის ქართველი სპეციალისტები - **რუსუდან გერგაული და დავით ხაჭვანი**. მთარგმნელთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის მათ დათმობილი დროის, გაწეული ძალისხმევისა და გაზიარებული ცოდნისთვის. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა **გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე**. ამ მხრივ, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის **ლიანა ქარცივაძეს**.

კონვენციის ქართულენოვანი თარგმანი გამოიცემა და დაურიგდება სამართლის სკოლების ბიბლიოთეკებს ქვეყნის მასშტაბით. დამატებით, დოკუმენტის ბმული განთავსდება მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდზე. შედეგად, კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის, რაც საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის სფეროში დააჩქარებს ტერმინთა ჰარმონიზაციას და წაახალისებს აკადემიურ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინააღმდეგ საინვესტიციო დავების ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო აქტუალური ხდება სამართლის ეს დარგი. გვჯერა, რომ კონვენციის თარგმანი ხელს შეუწყობს ამ დარგის პოპულარიზაციას და სასარგებლო იქნება სამართლის სტუდენტების, პრაქტიკოსი იურისტებისა თუ საერთაშორისო საინვესტიციო სამართლით დაინტერესებული სხვა პირებისთვის და შეასრულებს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ფუნქციას.

კონვენციის თარგმნა და გამოქვეყნება საზოგადოების ერთ-ერთი საამაყო პროექტია საზოგადოების დაარსების დღიდან განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობას შორის.

საზოგადოება აქტიურად უწყობს ხელს ინფორმაციის გავრცელებას სოციალურ მედიაში იმიტირებული სასამართლო პროცესების შესახებ. ჩვენს ფეისბუქ გვერდზე (Tbilisi State University Moot Court Society) ქვეყნდება თითოეული გუნდის მიერ დაფიქსირებული შედეგი, ინტერვიუები გუნდის წევრებთან და წარმატების სხვადასხვა ისტორია. საზოგადოების ინიციატივით ჩაიწერა და გამოქვეყნდა ვიდეო ინტერვიუების სერია ჟან პიეტეს კონკურსის მონაწილეებთან, მწვრთნელთან, საორგანიზაციო კომისიის წევრსა და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის წარმომადგენელთან.

ჩვენთვის საპასუხისმგებლო და სასიამოვნო პროცესია, გავუზიაროთ ჩვენი პროფესორების დახმარებით შექმნილი გამოცდილება და უნარები ახალი

თაობის მონაწილეებით დაკომპლექტებულ გუნდებს. სწორედ ამიტომ, საზოგადოების წევრები არაერთხელ გახლდით იმიტირებული სასამართლო პროცესების მონაწილე გუნდის მწვრთნელები.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინიციატივით, საქართველოში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მონაწილეობას იღებს ნელსონ მანდელას სახელობის ადამიანის უფლებების იმიტირებულ პროცესში, რომელიც ერთ-ერთი პრესტიჟული იმიტირებული პროცესია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის სფეროში. იმიტირებული პროცესის ფინალი 2020 წელს გაიმართება ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში.

საზოგადოება დასაწყისიდანვე აქტიურად თანამშრომლობს სხვა ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან. მაგალითისათვის, ჩვენ ვთანამშრომლობთ, მათ შორის, რიო-დე-ჟანეიროს კათოლიკური უნივერსიტეტსა (ბრაზილია) და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აზერბაიჯანი).

საზოგადოება მუშაობს ელექტრონულ რეჟიმში სტუდენტებისათვის აკადემიურ წერის უნარ-ჩვევებსა და ზეპირი გამოსვლის ტექნიკის სწავლებაზეც, რაც მნიშვნელოვანია როგორც ეროვნულ თუ საერთაშორისო კონკურსებში წარმატებულად ასპარეზობის, ისე პროფესიული წინსვლისთვის. საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო პროცესების დანერგვითა და ქართველი სტუდენტების წახალისებით საზოგადოება საერთაშორისო სამართლის, სამართლის ამ დამოუკიდებელი სისტემის, სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას ეწევა საქართველოში.

საზოგადოების გუნდი დიდ მადლობას უხდის **აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდს** კონვენციის ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში დაბეჭდვის შესაძლებლობისათვის. იმედი გვაქვს, ამგვარად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება პროფესორ ლევან ალექსიძის პროფესიული მემკვიდრეობისა და მისი დაფუძნებული ქართული საერთაშორისო სამართლის სკოლის გაგრძელების უმნიშვნელოვანეს საქმეში, კონვენციის ტექსტის ფართოდ გავრცელებითა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით საქართველოში სტუდენტებისა და კონვენციით დაინტერესებული ფართო წრეებისათვის.



კონვენცია სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ

პრეამბულა

ხელშემკვრელი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ რა საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებას ეკონომიკური განვითარებისთვის და კერძო საერთაშორისო ინვესტიციის როლს ამ მხრივ;

მხედველობაში იღებენ რა დროდადრო ამგვარ ინვესტიციასთან დაკავშირებით დავების წარმოშობის შესაძლებლობას ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის;

აღიარებენ რა, რომ, როგორც წესი, მსგავს დავებზე ვრცელდება ეროვნული სამართლებრივი პროცედურები, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს დავების მოგვარების საერთაშორისო მეთოდები;

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რა საერთაშორისო კონსილიაციისა ან არბიტრაჟის მექანიზმების ხელმისაწვდომობას, სადაც შესაძლოა, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა და სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებმა სურვილისამებრ წარადგინონ ასეთი დავები;

სურთ რა ამგვარი მექანიზმების დაფუძნება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მხარდაჭერით;

აღიარებენ რა, რომ მხარეთა ურთიერთშეთანხმებას კონსილიაციისა ან არბიტრაჟში მსგავსი დავების ამგვარი მექანიზმებით წარდგენაზე აქვს სავალდებულო ძალა, რაც განსაკუთრებით საჭი-





როებს კონსილიატორთა ნებისმიერი რეკომენდაციის სათანადო განხილვასა და ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებას; და

აცხადებენ რა, რომ არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო მხოლოდ ამ კონვენციის რატიფიცირების, მიღებისა ან დამტკიცების საფუძველზე, და მისი თანხმობის გარეშე, არ მიიჩნევა ვალდებულია, რომელიმე კონკრეტული დავა კონსილიაციასა ან არბიტრაჟში წარადგინოს,

თანხმდებიან შემდეგზე:





თავი I საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი

ნაწილი 1 დაფუძნება და მონყობა

მუხლი 1

(1) წინამდებარე დოკუმენტით დაფუძნდა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“).

(2) ცენტრის მიზანია, ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად უზრუნველყოს საინვესტიციო დავების კონსილიაციასა და არბიტრაჟში განხილვის შესაძლებლობა ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის.

მუხლი 2

ცენტრი მდებარეობს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (შემდგომში „ბანკი“) სათავო ოფისში. მისი მდებარეობა შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი სხვა ადგილით, ადმინისტრაციული საბჭოს წევრთა ორმესამედიანი უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 3

ცენტრი შედგება ადმინისტრაციული საბჭოსა და სამდივნოსგან და აწარმოებს კონსილიატორთა და არბიტრთა სიებს.





ნაწილი 2

ადმინისტრაციული საბჭო

მუხლი 4

(1) ადმინისტრაციულ საბჭოში არის თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი. თუ პრინციპალი არ იმყოფება შეხვედრაზე, ან არ შეუძლია უფლებამოსილების შესრულება, მისი წარმომადგენლობა შეიძლება განიოს შემცვლელმა.

(2) თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დანიშნული ბანკის თითოეული მმართველი და მმართველის შემცვლელი *ex officio* არის, შესაბამისად, მისი წარმომადგენელი და შემცვლელი.

მუხლი 5

ბანკის პრეზიდენტი *ex officio* არის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში „თავმჯდომარე“), მაგრამ არ აქვს ხმის მიცემის უფლება. თუ ის არ იმყოფება ან ვერ ასრულებს უფლებამოსილებას და ბანკის პრეზიდენტის აპარატში არსებობს ნებისმიერი ვაკანტური თანამდებობა, პირი, რომელიც იმ დროისათვის ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, ასევე მოქმედებს, როგორც ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 6

(1) ადმინისტრაციული საბჭო, კონვენციის სხვა დებულებებით მინიჭებული უფლებებისა და ფუნქციების შეუზღუდავად:

- (ა) იღებს ცენტრის ადმინისტრაციულ და ფინანსურ რეგულაციებს;
- (ბ) იღებს პროცედურულ წესებს კონსილიაციისა და საარბიტრაჟო პროცესების დასაწყებად;





- (გ) იღებს პროცედურულ წესებს კონსილიაციისა და საარბიტრაჟო პროცესებისთვის (შემდგომში „კონსილიაციის წესები“ და „საარბიტრაჟო წესები“);
- (დ) ამტკიცებს ბანკთან შეთანხმებებს ბანკის ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გამოყენებაზე;
- (ე) განსაზღვრავს გენერალური მდივნისა და მისი ნებისმიერი მოადგილის საქმიანობის პირობებს;
- (ვ) იღებს ცენტრის შემოსავლებისა და ხარჯების ყოველწლიურ ბიუჯეტს;
- (ზ) ამტკიცებს ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრის საქმიანობის შესახებ.

ზემოხსენებულ (ა), (ბ), (გ) და (ვ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციული საბჭოს წევრები იღებენ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

(2) ადმინისტრაციული საბჭო უფლებამოსილია, დანიშნოს ის კომიტეტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს.

(3) ადმინისტრაციული საბჭო ახორციელებს სხვა ისეთ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად.

მუხლი 7

(1) ადმინისტრაციული საბჭო ატარებს ყოველწლიურ კრებასა და სხვა შეხვედრებს, რომლებსაც განსაზღვრავს საბჭო, ანდა იწვევს თავმჯდომარე ან გენერალური მდივანი - საბჭოს არანაკლებ ხუთი წევრის მოთხოვნით.

(2) ადმინისტრაციული საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება; თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ამ დოკუმენტით, საბჭოს წინაშე წარდგენილ ყველა საკითხზე გადაწყვე-





ტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

(3) ადმინისტრაციული საბჭოს ნებისმიერი კრების კვორუმი მისი წევრების უმრავლესობა.

(4) ადმინისტრაციული საბჭო უფლებამოსილია, წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით დაადგინოს პროცედურა, რომლის თანახმადაც, თავმჯდომარე შეძლებს საბჭოს წარმომადგენელთა ხმების გამოთხოვას კრების მოწვევის გარეშე. ხმის მიცემა ნამდვილია, თუ საბჭოს წევრთა უმრავლესობა ხმას მისცემს ამ პროცედურით დადგენილ ვადაში.

მუხლი 8

ადმინისტრაციული საბჭოს წევრები და თავმჯდომარე მოვალეობებს ასრულებენ ცენტრისგან ანაზღაურების გარეშე.

ნაწილი 3

სამდივნო

მუხლი 9

სამდივნოს შემადგენლობაში არიან: გენერალური მდივანი, გენერალური მდივნის ერთი ან ერთზე მეტი მოადგილე, და მომსახურე პერსონალი.

მუხლი 10

(1) გენერალურ მდივანსა და მის ნებისმიერ მოადგილეს, თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს ადმინისტრაციული საბჭო, წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, არაუმეტეს ექვსი წლის ვადითა და ხელახალი არჩევის უფლებით. ადმინისტრაციული საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შემდგომ, თავმჯდომარე წარადგენს ერთ ან რამდენიმე კანდიდატს თითოეული ამ თანამდებობისთვის.

(2) გენერალური მდივნისა და მისი მოადგილის თანამდებობები





შეუთავსებელია ნებისმიერ პოლიტიკურ ფუნქციასთან. ადმინისტრაციული საბჭოს ნებართვის გარეშე, გენერალურ მდივანსა და მის ნებისმიერ მოადგილეს არ აქვთ სხვაგვარად დასაქმების ან სხვა პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის უფლება.

(3) თუ გენერალური მდივანი არ იმყოფება ან არ შეუძლია უფლებამოსილების შესრულება და ეს თანამდებობა ვაკანტურია, მის ფუნქციას ითავსებს გენერალური მდივნის მოადგილე. ერთზე მეტი მოადგილის არსებობისას, ადმინისტრაციული საბჭო წინასწარ განსაზღვრავს, რა რიგითობით უნდა შეასრულონ მათ გენერალური მდივნის უფლებამოსილება.

მუხლი 11

გენერალური მდივანი არის ცენტრის სამართლებრივი წარმომადგენელი და ხელმძღვანელი. მისი პასუხისმგებლობაა ცენტრის მართვა, მათ შორის, პერსონალის დანიშვნა კონვენციის დებულებებისა და ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მიღებული წესების შესაბამისად. იგი ასრულებს რეგისტრატორის ფუნქციას და უფლებამოსილია, დაადასტუროს ამ კონვენციის შესაბამისად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობა და დაამოწმოს მისი ასლები.

ნაწილი 4

სიები

მუხლი 12

კონსილიატორთა და არბიტრთა სიები შედგება ქვემოთ დებულებებით დადგენილი წესებით დანიშნული კვალიფიციური პირებისგან, რომლებიც თანახმა არიან, შეასრულონ აღნიშნული მოვალეობა.





მუხლი 13

(1) თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია, თითოეულ სიაში მიუთითოს ოთხი პირი, რომლებიც შესაძლებელია - თუმცა არ არის სავალდებულო - იყვნენ მისი მოქალაქეები.

(2) თავმჯდომარე უფლებამოსილია, თითოეულ სიაში მიუთითოს ათი პირი. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს განსხვავებული მოქალაქეობა.

მუხლი 14

(1) სიებში მითითებულ პირებს უნდა ჰქონდეთ მაღალი მორალური თვისებები და აღიარებული კომპეტენცია სამართლის, სავაჭრო, სამეწარმეო ან საფინანსო სფეროებში. მათ მიმართ უნდა არსებობდეს ნდობა, რომ მიიღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არბიტრთა სიაში მითითებულ პირთა კომპეტენტურობა სამართლის სფეროში.

(2) სიებში პირთა მითითებისას, თავმჯდომარემ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს მსოფლიოში არსებული ძირითადი სამართლებრივი სისტემებისა და ეკონომიკური აქტივობის ძირითადი ფორმების წარმოდგენას.

მუხლი 15

(1) სიის წევრები მოვალეობას ასრულებენ ექვსი წლის ვადითა და ხელახლა დანიშვნის უფლებით.

(2) თუ სიის წევრი გარდაიცვლება ან თანამდებობას დატოვებს, მის დამნიშვნელ უფლებამოსილ სუბიექტს აქვს უფლება, დანიშნოს სხვა პირი, რომელიც შეასრულებს მოვალეობას ამ წევრის დარჩენილი ვადის ამონურვამდე.

(3) სიის წევრები განაგრძობენ თანამდებობების დაკავებას მათი უფლებამონაცვლის დანიშვნამდე.





მუხლი 16

(1) შესაძლოა, ერთი და იგივე პირი მითითებული იყოს ორივე სიაში.

(2) თუ პირს ერთსა და იმავე სიაში დანიშნავს ერთზე მეტი ხელშემკვრელი სახელმწიფო, ანდა ერთი ან მეტი ხელშემკვრელი სახელმწიფო და თავმჯდომარე, მის დამნიშვნელად მიიჩნევა უფლებამოსილი სუბიექტი, რომელმაც იგი სიაში პირველად მიუთითა, ხოლო თუ ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილი სუბიექტი არის ამ პირის მოქალაქეობის სახელმწიფო, მაშინ - ეს სახელმწიფო.

(3) ყველა დანიშვნა უნდა ეცნობოს გენერალურ მდივანს და ძალაში შევიდეს შეტყობინების მიღების დღიდან.

ნაწილი 5

ცენტრის დაფინანსება

მუხლი 17

თუ ცენტრის მომსახურების საფასური ან სხვა შემოსავალი მის ხარჯებს ვერ ფარავს, სხვაობა უნდა აანაზღაურონ ბანკის წევრმა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, მის სააქციო კაპიტალში შექმნილი აქციების პროპორციულად, და ბანკის არაწევრმა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მიღებული წესების შესაბამისად.

ნაწილი 6

სტატუსი, იმუნიტეტები და პრივილეგიები

მუხლი 18

ცენტრს აქვს სრული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. მისი უფლებაუნარიანობა მოიცავს უფლებამოსილებას:





- (ა) დადოს გარიგება;
- (ბ) შეიძინოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება;
- (გ) დაიწყოს სამართლებრივი პროცესები.

მუხლი 19

თავისი ფუნქციების შესასრულებლად, ცენტრი თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიებზე სარგებლობს წინამდებარე ნაწილში გათვალისწინებული იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით.

მუხლი 20

ცენტრი, მისი ქონება და აქტივები სარგებლობს იმუნიტეტით ყველა სამართლებრივ პროცესთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცენტრი უარს ამბობს ამ იმუნიტეტზე.

მუხლი 21

თავმჯდომარე, ადმინისტრაციული საბჭოს წევრები, პირები, რომლებიც ახორციელებენ კონსილიატორთა ან არბიტრთა უფლებამოსილებას, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დანიშნული კომიტეტის წევრები, ასევე, სამდივნოს თანამდებობის პირები და თანამშრომლები

- (ა) სარგებლობენ იმუნიტეტით სამართლებრივი პროცესის მიმართ, რომელიც უკავშირდება მათ ქმედებებს საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცენტრი უარს ამბობს ამგვარ იმუნიტეტზე;
- (ბ) თუ არ არიან ადგილობრივი მოქალაქეები, სარგებლობენ: იმავე იმუნიტეტით საიმიგრაციო შეზღუდვების, უცხოელთა სარეგისტრაციო მოთხოვნებისა და ეროვნული სამხედრო სამსახურის ვალდებულებათა მიმართ; იმავე შესაძლებლობებით სავალუტო შეზღუდვებთან დაკავშირებით; და იმავე მოპყრობით სამგზავრო საშუალებებთან, რომლებსაც ხელშემკვრელი





სახელმწიფოები ანიჭებენ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ამ რანგის წარმომადგენლებს, თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს.

მუხლი 22

21-ე მუხლის დებულებები ვრცელდება პირებზე, რომლებიც ამ კონვენციით გათვალისწინებულ პროცესებში მონაწილეობენ როგორც მხარეები, წარმომადგენლები, მრჩეველები, ადვოკატები, მონშეები ან ექსპერტები; თუმცა, იმ პირობით, რომ ხსენებული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გავრცელდება მხოლოდ აღნიშნული პროცესების ჩატარების ადგილას გამგზავრებაზე, გამომგზავრებასა და იქ დარჩენაზე.

მუხლი 23

(1) ცენტრის არქივები ხელშეუხებელია, განურჩევლად მათი ადგილმდებარეობისა.

(2) თავის ოფიციალურ კომუნიკაციასთან მიმართებით, ცენტრი თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან უნდა სარგებლობდეს არანაკლებ ხელსაყრელი მოპყრობით, ვიდრე გამოიყენება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი 24

(1) ცენტრი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, ასევე, ამ კონვენციით ნებადართული მისი ოპერაციები და ტრანზაქციები, გათავისუფლებულია ყოველგვარი დაბეგვრისა და საბაჟო მოსაკრებლისაგან; ცენტრი ასევე გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან ნებისმიერი გადასახადის ან საბაჟო მოსაკრებლის შეგროვებისა თუ გადახდის მხრივ.

(2) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ მოქალაქეებს, გადასახადი არ გადაიხდება ცენტრის მიერ გადახდილ იმ თანხებზე - ან მათთან დაკავშირებით - რომლებითაც ანაზღაურდება ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების ხარჯე-





ბი, ანდა სამდივნოს თანამდებობის პირებისა თუ თანამშრომლების ხელფასები, ხარჯები ან სხვა ტიპის თანამდებობრივი შემოსავალი.

(3) გადასახადი არ გადაიხდება იმ თანხებზე - ან მათთან დაკავშირებით - რომლებითაც ანაზღაურდება ამ კონვენციით გათვალისწინებულ პროცესებში მონაწილე კონსილიატორთა, არბიტრთა, ან 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დანიშნულ კომიტეტის წევრთა ჰონორარები და ხარჯები, თუ ამგვარი გადასახადის ერთადერთი იურისდიქციული საფუძველია ცენტრის მდებარეობა, ანდა ადგილი, სადაც ტარდება პროცესები, ან ანაზღაურდება აღნიშნული ჰონორარები და ხარჯები.

თავი II ცენტრის იურისდიქცია

მუხლი 25

(1) ცენტრის იურისდიქცია ვრცელდება ინვესტიციიდან პირდაპირ გამომდინარე ნებისმიერ სამართლებრივ დავაზე ხელშემკვრელ სახელმწიფოს (ან მის მიერ ცენტრისთვის განსაზღვრულ ნებისმიერ ქვედანაყოფსა თუ სააგენტოს) და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეს შორის, რომლის ცენტრისთვის გადაცემაზეც დავის მხარეებმა წერილობითი თანხმობა განაცხადეს. თანხმობის გაცხადების შემთხვევაში, არცერთ მხარეს არ შეუძლია საკუთარი თანხმობის ცალმხრივად გამოხმობა.

(2) „სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე“ ნიშნავს:

- (ა) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც ჰქონდა არა დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობა იმ დღეს, როდესაც მხარეებმა თანხმობა განაცხადეს ამ დავის კონსილიაციაში ან არბიტრაჟში წარდგენაზე, ანდა როდესაც განაცხადი დარეგისტრირდა 28-ე





მუხლის მე-3 პუნქტის, ან 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად; თუმცა იგი არ მოიცავს პირს, რომელსაც აღნიშნულთაგან რომელიმე დღეს ჰქონდა დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობაც; და

- (ბ) ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც ჰქონდა არა დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობა იმ დღეს, როცა მხარეებმა თანხმობა განაცხადეს დავის კონსილიაციაში ან არბიტრაჟში წარდგენაზე; ასევე, ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც ამ დღეს ჰქონდა დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობა, და მხარეები შეთანხმდნენ, რომ იგი, უცხო ქვეყნის კონტროლის გამო, ამ კონვენციის მიზნებისათვის უნდა მიიჩნეოდეს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქედ.

(3) ხელშემკვრელი სახელმწიფოს შემადგენელი ქვედანაყოფის ან სააგენტოს თანხმობა უნდა დამტკიცდეს ამ სახელმწიფოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სახელმწიფო ცენტრს შეატყობინებს, რომ დამტკიცება საჭირო არ არის.

(4) ამ კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცებისთანავე, ან მას შემდეგ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, შეატყობინოს ცენტრს იმ კატეგორი(ებ)ის დავებზე, რომლებსაც იგი მიიჩნევს ან არ მიიჩნევს, რომ ექვემდებარება ცენტრის იურისდიქციას. გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ გადასცემს ამგვარ შეტყობინებას ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს. ამგვარი შეტყობინება არ წარმოადგენს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით მოთხოვნილ თანხმობას.

მუხლი 26

ამ კონვენციის შესაბამისად, არბიტრაჟზე მხარეთა თანხმობა გულისხმობს სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამოორიციხვას, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. კონვენციის შესაბამისად, არბიტრაჟზე თანხმობის წინაპირობად, ხელ-





შემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება, მოითხოვოს ადგილობრივი ადმინისტრაციული ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა.

მუხლი 27

(1) არცერთმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ არ უნდა გაავრცელოს დიპლომატიური დაცვა ან აღძრას საერთაშორისო სარჩელი დავაზე, რომელთან მიმართებითაც მისმა ერთ-ერთმა მოქალაქემ და სხვა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, კონვენციის შესაბამისად, არბიტრაჟში წარდგენაზე განაცხადეს თანხმობა, ან წარადგინეს არბიტრაჟში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფო არ ემორჩილება ან არ ასრულებს ამგვარ დავაზე გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

(2) დიპლომატიური დაცვა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის არ მოიცავს არაფორმალურ დიპლომატიურ დიალოგს, რომელიც მხოლოდ დავის მოგვარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

თავი III კონსილიაცია

ნაწილი 1

განაცხადი კონსილიაციის შესახებ

მუხლი 28

(1) ნებისმიერმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელსაც სურს კონსილიაციის პროცესების დაწყება, წერილობითი განაცხადით უნდა მიმართოს გენერალურ მდივანს, ვინც განაცხადის ასლს გაუგზავნის მეორე მხარეს.





(2) განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სადავო საკითხებზე, მხარეთა ვინაობას და მათ თანხმობას კონსილიაციაზე, კონსილიაციისა და საარბიტრაჟო წარმოების დაწყების პროცედურული წესების შესაბამისად.

(3) გენერალური მდივანი არეგისტრირებს განაცხადს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს, რომ დავა აშკარად სცდება ცენტრის იურისდიქციას. მან მხარეებს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

ნაწილი 2

კონსილიაციის კომისიის შექმნა

მუხლი 29

(1) კონსილიაციის კომისია (შემდგომში „კომისია“) უნდა შეიქმნას შეძლებისდაგვარად სწრაფად მას შემდეგ, რაც განაცხადი დარეგისტრირდება 28-ე მუხლის შესაბამისად.

(2) (ა) კომისია უნდა შედგებოდეს მხარეთა შეთანხმებით დანიშნული ერთი ან ნებისმიერი კენტი რაოდენობის კონსილიატორისგან.

(ბ) თუ მხარეები ვერ თანხმდებიან კონსილიატორთა რაოდენობასა და დანიშვნის წესზე, კომისია შედგება სამი კონსილიატორისაგან: თითოეული მხარე დანიშნავს ერთ კონსილიატორს, მესამე კი, რომელიც წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარეს, დაინიშნება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 30

თუ განაცხადის რეგისტრაციის შესახებ გენერალური მდივნის მიერ 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეტყობინების





გაგზავნიდან 90 დღის განმავლობაში, ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ვადაში, კომისია არ შეიქმნება, თავმჯდომარე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე - და რამდენადაც შესაძლებელია, ორივე მხარისაგან რჩევის მიღების შემდეგ - დანიშნავს კონსილიატორ(ებ)ს, რომლებიც ჯერ არ არიან დანიშნულნი.

მუხლი 31

(1) დასაშვებია ისეთი კონსილიატორების დანიშვნა, რომლებიც არ შედიან კონსილიატორთა სიაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ნიშნავს თავმჯდომარე, 30-ე მუხლის საფუძველზე.

(2) თუ დანიშნული კონსილიატორები არ შედიან კონსილიატორთა სიაში, მათ უნდა ჰქონდეთ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული თვისებები.

ნაწილი 3

კონსილიაციის პროცესები

მუხლი 32

(1) კომისია თავად წყვეტს საკუთარი კომპეტენციის საკითხს.

(2) დავის მხარის ნებისმიერ პრეტენზიას, რომ დავა არ ექცევა ცენტრის იურისდიქციაში ან, სხვა მიზეზების გამო, კომისიის კომპეტენციაში, განიხილავს კომისია, რომელიც გადაწყვეტს, წინასწარ განიხილავს ამ საკითხს, თუ გააერთიანებს დავის არსებით ნაწილთან.

მუხლი 33

ნებისმიერი კონსილიაციის პროცესი ტარდება ამ ნაწილის დებულებების შესაბამისად და, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, მხარეთა მიერ კონსილიაციაზე შეთანხმების დღეს მოქმედი კონსილიაციის წესების მიხედვით. კომისია თავად წყვეტს





ნებისმიერ წამოჭრილ პროცედურულ საკითხს, რომელსაც არ ითვალისწინებს კონვენციის ეს ნაწილი, კონსილიაციის წესები, ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი პროცედურული წესი.

მუხლი 34

(1) კომისიის მოვალეობაა, დააზუსტოს მხარეებს შორის არსებული სადავო საკითხები და შეეცადოს მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევას ორმხრივად მისაღები პირობებით. ამ მიზნით, კომისიას შეუძლია, პროცესების ნებისმიერ ეტაპზე და დროდადრო შესთავაზოს მხარეებს მორიგების პირობები. მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა ითანამშრომლონ კომისიასთან, რათა მისცენ თავისი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა და უდიდესი სერიოზულობით გაითვალისწინონ მისი რეკომენდაციები.

(2) თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, კომისია შეადგენს ანგარიშს, სადაც აღინიშნება სადავო საკითხები და მიეთითება მხარეთა შეთანხმების შესახებ. თუ წარმოების ნებისმიერ ეტაპზე კომისია მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, მან უნდა შეწყვიტოს პროცესები და შეადგინოს ანგარიში, რომელშიც აღინიშნება დავის განსახილველად გადაცემა და მიეთითება, რომ მხარეთა შეთანხმება შეუძლებელია. თუ პროცესებზე ერთ-ერთი მხარე არ გამოცხადდება, ან არ მიიღებს მონაწილეობას, კომისიამ უნდა შეწყვიტოს პროცესი და შეადგინოს ანგარიში ამ მხარის გამოუცხადებლობისა ან მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ.

მუხლი 35

თუ დავის მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, კონსილიაციის პროცესის არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი, რომ ნებისმიერ სხვა პროცესში, არბიტრების წინაშე, სასამართლოში თუ სხვაგან, მოიხმოს ან დაეყრდნოს მეორე მხარის მიერ კონსილიაციის პროცესში გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებას, განცხადებას, აღიარებას, დავის მორიგების შემოთავაზებას, ან კომისიის მიერ მიღებულ ანგარიშსა თუ ნებისმიერ რეკომენდაციას.





თავი IV არბიტრაჟი

ნაწილი 1 საარბიტრაჟო განაცხადი

მუხლი 36

(1) ნებისმიერმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელსაც სურს საარბიტრაჟო პროცესების დაწყება, წერილობითი განაცხადით უნდა მიმართოს გენერალურ მდივანს, ვინც განაცხადის ასლს გაუგზავნის მეორე მხარეს.

(2) განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სადავო საკითხებზე, მხარეთა ვინაობას და მათ თანხმობას არბიტრაჟზე, კონსილიაციისა და საარბიტრაჟო პროცესების დაწყების პროცედურული წესების შესაბამისად.

(3) გენერალური მდივანი განაცხადს არეგისტრირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს, რომ დავა არსებითად სცდება ცენტრის იურისდიქციას. მან მხარეებს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

ნაწილი 2 ტრიბუნალის შექმნა

მუხლი 37

(1) საარბიტრაჟო ტრიბუნალი (შემდგომში „ტრიბუნალი“) უნდა შეიქმნას შეძლებისდაგვარად სწრაფად მას შემდეგ, რაც განაცხადი დარეგისტრირდება 36-ე მუხლის შესაბამისად.





- (2) (ა) ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს მხარეთა შეთანხმებით დანიშნული ერთი ან ნებისმიერი კენტი რაოდენობის არბიტრისგან.
- (ბ) თუ მხარეები ვერ თანხმდებიან არბიტრთა რაოდენობასა და დანიშვნის წესზე, ტრიბუნალი შედგება სამი არბიტრისაგან: თითოეული მხარე დანიშნავს ერთ არბიტრს, მესამე კი, რომელიც წარმოადგენს ტრიბუნალის თავმჯდომარეს, დაინიშნება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 38

თუ განაცხადის რეგისტრაციის შესახებ გენერალური მდივნის მიერ 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეტყობინების გაგზავნიდან 90 დღის განმავლობაში ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ვადაში, ტრიბუნალი არ შეიქმნება, თავმჯდომარე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე - და რამდენადაც შესაძლებელია, ორივე მხარისაგან რჩევის მიღების შემდეგ - დანიშნავს არბიტრ(ებ)ს, რომლებიც ჯერ არ არიან დანიშნულნი. თავმჯდომარის მიერ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნული არბიტრები არ უნდა იყვნენ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელიც დავის მხარეა, ან რომლის მოქალაქეც არის დავის მხარე.

მუხლი 39

არბიტრთა უმრავლესობა არ უნდა იყოს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დავის მხარეა, ან რომლის მოქალაქეც არის დავის მხარე; თუმცა იმ პირობით, რომ ამ მუხლის წინამდებარე დებულებები არ გავრცელდება, თუ ერთი არბიტრი ან ტრიბუნალის თითოეული წევრი დანიშნულია მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 40

(1) დასაშვებია ისეთი არბიტრების დანიშვნა, რომლებიც არ შედიან არბიტრთა სიაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ





ნიშნავს თავმჯდომარე, 38-ე მუხლის საფუძველზე.

(2) თუ დანიშნული არბიტრები არ შედიან არბიტრთა სიაში, მათ უნდა ჰქონდეთ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული თვისებები.

ნაწილი 3

ტრიბუნალის უფლებამოსილება და ფუნქციები

მუხლი 41

(1) ტრიბუნალი თავად წყვეტს საკუთარი კომპეტენციის საკითხს.

(2) დავის მხარის ნებისმიერ პრეტენზიას, რომ დავა არ ექცევა ცენტრის იურისდიქციაში ან, სხვა მიზეზების გამო, ტრიბუნალის კომპეტენციაში, განიხილავს ტრიბუნალი, რომელიც გადაწყვეტს, წინასწარ განიხილავს ამ საკითხს, თუ გააერთიანებს დავის არსებით ნაწილთან.

მუხლი 42

(1) ტრიბუნალი დავას წყვეტს იმ სამართლის ნორმების მიხედვით, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან. ასეთი შეთანხმების არარსებობისას, ტრიბუნალი იყენებს დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც) და გამოსაყენებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

(2) ტრიბუნალი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს *non liquet* გადაწყვეტილება კანონის არარსებობის ან ბუნდოვანების საფუძველით.

(3) 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ ზღუდავს ტრიბუნალის უფლებამოსილებას, რომ დავა გადაწყვიტოს *ex aequo et bono*, თუ მხარეები ასე შეთანხმდებიან.





მუხლი 43

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად თანხმდებიან, ტრიბუნალი უფლებამოსილია, თუ საჭიროდ მიიჩნევს, პროცესების ნებისმიერ ეტაპზე

- (ა) მოსთხოვოს მხარეებს დოკუმენტებისა ან სხვა მტკიცებულების წარდგენა; და
- (ბ) მოინახულოს დავასთან დაკავშირებული შემთხვევის ადგილი და, თუ სათანადოდ მიიჩნევს, ადგილზევე ჩაატაროს მოკვლევა.

მუხლი 44

ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცესი ტარდება ამ ნაწილის დებულებების შესაბამისად, და, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, მხარეების მიერ არბიტრაჟზე შეთანხმების დღეს მოქმედი საარბიტრაჟო წესების მიხედვით. ტრიბუნალი თავად გადაწყვეტს ნებისმიერ წამოჭრილ პროცედურულ საკითხს, რომელსაც არ ითვალისწინებს კონვენციის ეს ნაწილი, საარბიტრაჟო წესები ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი წესი.

მუხლი 45

(1) მხარის გამოუცხადებლობა ან მის მიერ პოზიციის წარუდგენლობა არ მიიჩნევა მეორე მხარის მტკიცებათა აღიარებად.

(2) თუ წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მხარე არ გამოცხადდება, ან არ წარადგენს თავის პოზიციას, მეორე მხარე უფლებამოსილია, ტრიბუნალს მოსთხოვოს წარდგენილი საკითხების განხილვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების მიღებამდე, ტრიბუნალმა უნდა შეატყობინოს და დამატებითი ვადა მისცეს იმ მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა, ან რომელსაც არ წარმოუდგენია თავისი პოზიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ ეს მხარე არ გეგმავს გამოცხადებას ან საკუთარი პოზიციის წარდგენას.





მუხლი 46

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ტრიბუნალი მხარის მოთხოვნით განსაზღვრავს ნებისმიერ დაკავშირებულ, დამატებით ან შემხვედრ მოთხოვნას, რომლებიც დავის საგნიდან პირდაპირ გამომდინარეობს, იმ პირობით, რომ ისინი ექცევა მხარეთა თანხმობის ფარგლებსა და, სხვაგვარად, ცენტრის იურისდიქციაში.

მუხლი 47

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად თანხმდებიან, ტრიბუნალი უფლებამოსილია, თუ მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, გასცეს რეკომენდაცია ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებაზე მხარეთა შესაბამისი უფლებების დასაცავად.

ნაწილი 4

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

მუხლი 48

(1) ტრიბუნალი საკითხებს წყვეტს ყველა წევრის ხმათა უმრავლესობით.

(2) ტრიბუნალის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით და მას ხელს უნდა აწერდნენ ტრიბუნალის ის წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს.

(3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს ტრიბუნალის წინაშე დასმულ ყველა საკითხს და უთითებდეს საფუძვლებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა.

(4) ტრიბუნალის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას დაურთოს ინდივიდუალური მოსაზრება, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა უმრავლესობას, ან თავისი განსხვავებული მოსაზრება.





(5) ცენტრი არ არის უფლებამოსილი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს მხარეთა თანხმობის გარეშე.

მუხლი 49

(1) გენერალური მდივანი მხარეებს დაუყოვნებლივ უგზავნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამონმებულ ასლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა დამონმებული ასლების გაგზავნის დღეს.

(2) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში, მხარის მოთხოვნით, ტრიბუნალი უფლებამოსილია, მეორე მხარისთვის შეტყობინების შემდეგ, გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც გადაუჭრელი დატოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში; ასევე ვალდებულია, შეასწოროს ნებისმიერი ბეჭდვითი, არითმეტიკული ან მსგავსი შეცდომა. მისი გადაწყვეტილება ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილი და მხარეებს ეცნობება იმავე ფორმით, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. 51-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დენა იწყება გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ნაწილი 5

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება, გადასინჯვა და გაუქმება

მუხლი 50

(1) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მნიშვნელობასა ან ფარგლებზე მხარეთა შორის ნებისმიერი დავის წარმოშობისას, ორივე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე.





(2) თუ შესაძლებელია, მოთხოვნა წარედგინება იმ ტრიბუნალს, რომელმაც მიიღო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. თუ ეს შეუძლებელია, ახალი ტრიბუნალი უნდა შეიქმნას, ამ თავის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ტრიბუნალი უფლებამოსილია, თუ მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება განმარტებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 51

(1) ორივე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვა გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი წერილობითი განაცხადით, იმ საფუძვლით, რომ გამოვლინდა ფაქტი, რომელმაც შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, და იმ პირობით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას ეს ფაქტი უცნობი იყო ტრიბუნალისა და განმცხადებლისთვის, განმცხადებლის მიერ ამ ფაქტის არცოდნა კი არ იყო გამონვეული გაუფრთხილებლობით.

(2) განაცხადი უნდა გაკეთდეს ამგვარი ფაქტის აღმოჩენიდან 90 დღის და, ნებისმიერ შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.

(3) თუ შესაძლებელია, მოთხოვნა წარედგინება ტრიბუნალს, რომელმაც მიიღო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. თუ ეს შეუძლებელია, ახალი ტრიბუნალი უნდა შეიქმნას, ამ თავის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

(4) თუ ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, იგი უფლებამოსილია, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება გადასინჯვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ განმცხადებელი თავის განაცხადში მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას, აღსრულება დროებით შეჩერდება ტრიბუნალის მიერ ამგვარ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.





მუხლი 52

(1) გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი წერილობითი განაცხადით ორივე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე საფუძვლით:

- (ა) ტრიბუნალი არ იყო სათანადო წესით შექმნილი;
- (ბ) ტრიბუნალმა აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას;
- (გ) ტრიბუნალის წევრის მხრიდან გამოვლინდა კორუფციის ფაქტი;
- (დ) გამოვლინდა მნიშვნელოვანი გადახვევა პროცედურის ფუნდამენტური წესიდან; ან
- (ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ უთითებს საფუძვლებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა.

(2) განაცხადი უნდა გაკეთდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 120 დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუქმებას ითხოვენ კორუფციის საფუძვლით. ასეთ დროს განაცხადი წარედგინება კორუფციის ფაქტის აღმოჩენიდან 120 დღის და, ნებისმიერ შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.

(3) მოთხოვნის მიღებისთანავე, თავმჯდომარემ არბიტრთა სიიდან დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს სამი პირისგან შემდგარი *ad hoc* კომიტეტი. კომიტეტის არცერთი წევრი არ უნდა იყოს: იმ ტრიბუნალის წევრი, რომელმაც გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; იმავე მოქალაქეობის მფლობელი, რომელიც აქვს ამ ტრიბუნალის ნებისმიერ წევრს; იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დავის მხარეა, ან რომლის მოქალაქეც არის დავის მხარე; ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს მიერ არბიტრთა სიაში დანიშნული პირი; ან კონსილიატორი იმავე დავაში. კომიტეტი უფლებამოსილია,





გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან მისი ნებისმიერი ნაწილი 1-ელ პუნქტში მოცემული ნებისმიერი საფუძვლით.

(4) 41-45-ე, 48-ე, 49-ე, 53-ე და 54-ე მუხლებისა და VI და VII თავების დებულებები *mutatis mutandis* ვრცელდება კომიტეტის წინაშე მიმდინარე პროცესებზე.

(5) თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ განმცხადებელი თავის განცხადებაში მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას, აღსრულება დროებით შეჩერდება კომიტეტის მიერ ამგვარ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

(6) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, დავა გადაეცემა ამ თავის მე-2 ნაწილის შესაბამისად შექმნილ ახალ ტრიბუნალს.

ნაწილი 6

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

მუხლი 53

(1) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის და არ ექვემდებარება ნებისმიერი სახის გასაჩივრებას, ან სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებას, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა. თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს და დაემორჩილოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება შეჩერებულია წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების მიხედვით.





(2) ამ ნაწილის მიზნებისთვის, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ მოიცავს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება ამგვარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტებას, გადასინჯვას ან გაუქმებას 50-ე, 51-ე ან 52-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 54

(1) თითოეულმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ამ კონვენციის შესაბამისად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ცნოს შესასრულებლად სავალდებულოდ და თავის ტერიტორიებზე აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები - ისე, როგორც ამ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შემთხვევაში. ფედერალური მოწყობის ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია, ამგვარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღასრულოს თავის ფედერალურ სასამართლოებში, ან მათი მეშვეობით, და განსაზღვროს, რომ ამგვარი სასამართლოები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას უნდა მოეპყრან ისე, როგორც შემადგენელი შტატის სასამართლოთა საბოლოო გადაწყვეტილებას.

(2) ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიებზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა ან აღსრულებისათვის, დაინტერესებულმა მხარემ ამგვარი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით დანიშნულ კომპეტენტურ სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს უნდა წარუდგინოს გენერალური მდივნის მიერ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლი. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, გენერალურ მდივანს შეატყობინოს ამ მიზნით კომპეტენტური სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს დანიშვნა, ასევე, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შემდგომი ცვლილება.

(3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება რეგულირდება იმ სახელმწიფოში მოქმედი სააღსრულებო კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიებზეც ითხოვენ აღსრულებას.





მუხლი 55

54-ე მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც გადახვევა იმ კანონმდებლობიდან, რომელიც მოქმედებს ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამავე ან სხვა სახელმწიფოს აღსრულებასთან დაკავშირებულ იმუნიტეტთან მიმართებით.

თავი V

კონსილიატორთა და არბიტრთა შეცვლა და დისკვალიფიკაცია

მუხლი 56

(1) კომისიის ან ტრიბუნალის შექმნისა და წარმოების დაწყების შემდეგ, მისი შემადგენლობა უცვლელი რჩება; თუმცა, იმ პირობით, რომ, თუ კონსილიატორი ან არბიტრი გარდაიცვლება, უუნარო გახდება, ან გადადგება, არსებული ვაკანსია შეივსება მე-3 თავის მე-2 ნაწილის, ან მე-4 თავის მე-2 ნაწილის დებულებათა შესაბამისად.

(2) კომისიის ან ტრიბუნალის წევრი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც აღარ არის სიის წევრი.

(3) თუ მხარის მიერ დანიშნული კონსილიატორი ან არბიტრი გადადგება იმ კომისიის ან ტრიბუნალის თანხმობის გარეშე, რომლის წევრიც იყო, თავმჯდომარე ვალდებულია, არსებული ვაკანსიის შესავსებად, პირი დანიშნოს შესაბამისი სიიდან.

მუხლი 57

მხარეს შეუძლია, კომისიას ან ტრიბუნალს მოსთხოვოს მისი რომელიმე წევრის დისკვალიფიკაცია ნებისმიერი ისეთი ფაქტის საფუძველზე, რომელიც მიუთითებს მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი თვისებების აშკარა არარსებობას. საარბიტრაჟო პრო-





ცესების მხარეს შეუძლია, დამატებით მოითხოვოს არბიტრის დისკვალიფიკაცია, იმ საფუძვლით, რომ არ აკმაყოფილებს ტრიბუნალში დანიშვნისათვის მე-4 თავის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 58

გადაწყვეტილებას კონსილიატორის ან არბიტრის დისკვალიფიკაციის მოთხოვნაზე იღებენ, შესაბამისად, კომისიის ან ტრიბუნალის დანარჩენი წევრები; თუ ამ წევრთა ხმები თანაბრად იყოფა, ან მოთხოვნილია ერთადერთი კონსილიატორის ან არბიტრის, ანდა კონსილიატორთა ან არბიტრთა უმრავლესობის დისკვალიფიკაცია, თავმჯდომარე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას. თუ გადაწყდება, რომ მოთხოვნა დასაბუთებულია, კონსილიატორი ან არბიტრი, რომელსაც ეხება გადაწყვეტილება, შეიცვლება მე-3 თავის მე-2 ნაწილის, ან მე-4 თავის მე-2 ნაწილის დებულებათა მიხედვით.

თავი VI

პროცესების ხარჯები

მუხლი 59

მხარეთა მიერ ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ხარჯებს განსაზღვრავს გენერალური მდივანი, ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მიღებული რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 60

(1) თითოეული კომისია და ტრიბუნალი განსაზღვრავს მისი წევრების ჰონორარსა და ხარჯებს, ადმინისტრაციული საბჭოს მიერ დროდადრო დადგენილ ფარგლებში და გენერალურ მდივანთან კონსულტაციის შემდეგ.





(2) ამ მუხლის 1-ლი პუნქტი არ ზღუდავს მხარეებს, რომ წინასწარ შეთანხმონ კომისიასთან ან ტრიბუნალთან მისი წევრების ჰონორარი და ხარჯები.

მუხლი 61

(1) კონსილიაციის პროცესების შემთხვევაში, კომისიის წევრების ჰონორარი და ხარჯები, ასევე, ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ხარჯები, მხარეთა შორის თანაბრად ნაწილდება. თითოეულ მხარეს ეკისრება მის მიერ პროცესთან დაკავშირებით განეული ყველა სხვა ხარჯი.

(2) საარბიტრაჟო პროცესების შემთხვევაში, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ტრიბუნალი განსაზღვრავს მათ მიერ განეულ ხარჯებს პროცესთან დაკავშირებით და წყვეტს, ვინ და როგორ აანაზღაურებს ამ თანხებს, ტრიბუნალის წევრთა ჰონორარებსა და ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ხარჯებს. ასეთი გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია.

თავი VII

პროცესების ადგილი

მუხლი 62

კონსილიაციისა და საარბიტრაჟო პროცესები წარიმართება ცენტრის ადგილსამყოფელში, გარდა ქვემოთ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 63

თუ მხარეები შეთანხმდებიან, კონსილიაციისა და საარბიტრაჟო პროცესები შესაძლოა ჩატარდეს:

(ა) მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში, ან





ნებისმიერ სხვა შესაბამის კერძო თუ საჯარო დაწესებულებაში, რომელთანაც ცენტრს შეუძლია შეთანხმება ამ მიზნით; ან

- (ბ) ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელზეც კომისია ან ტრიბუნალი განაცხადებს თანხმობას გენერალურ მდივანთან კონსულტაციის შემდეგ.

თავი VIII

დავები ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის

მუხლი 64

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის კონვენციის განმარტებასა ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელიც ვერ მოგვარდება მოლაპარაკებით, გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, დავის მონაწილე ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაინტერესებული სახელმწიფოები შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდზე.

თავი IX

შესწორება

მუხლი 65

ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია, წარადგინოს წინადადება კონვენციის შესწორებაზე. შემოთავაზებული შესწორების ტექსტი უნდა გაეგზავნოს გენერალურ მდივანს, სულ





მცირე, 90 დღით ადრე ადმინისტრაციული საბჭოს შეხვედრამდე, რომელზეც განიხილება ასეთი შესწორება. გენერალურმა მდივანმა ის დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს ადმინისტრაციული საბჭოს ყველა წევრს.

მუხლი 66

(1) თუ ადმინისტრაციული საბჭოს წევრთა ორმესამედიანი უმრავლესობა ასე გადაწყვეტს, შემოთავაზებული შესწორება ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს გაეგზავნება რატიფიკაციის, მიღების, ან დამტკიცებისთვის. თითოეული შესწორება ძალაში შედის 30 დღეში, მას შემდეგ, რაც კონვენციის დეპოზიტარი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გაუგზავნის შეტყობინებას, რომ კონვენცია შესწორებული, რატიფიცირებული, მიღებული ან დამტკიცებულია ყველა მათგანის მიერ.

(2) არცერთი შესწორება არ უნდა ახდენდეს გავლენას იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც კონვენციით გათვალისწინებულია ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი შემადგენელი რომელიმე ქვედანაყოფისა თუ სააგენტოს, ან რომელიმე მოქალაქისთვის და გამომდინარეობს შესწორების ძალაში შესვლის თარიღამდე ცენტრის იურისდიქციაზე გაცემული თანხმობიდან.

თავი X

დასკვნითი დებულებები

მუხლი 67

ეს კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილია ბანკის წევრი სახელმწიფოებისთვის, ასევე, ყველა სხვა სახელმწიფოსთვის, რომლებიც არიან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს





სტატუტის მხარეები და ადმინისტრაციულმა საბჭომ ხელმოსაწერად მოიწვია წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 68

(1) ამ კონვენციის რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას ხელმომწერი სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

(2) კონვენცია ძალაში შედის მის რატიფიკაციაზე, მიღებას ან დამტკიცებაზე მე-20 სიგელის ჩაბარებიდან 30 დღის შემდეგ. თითოეული იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც შემდეგ ჩააბარებს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელს, ის ძალაში შედის ჩაბარების თარიღიდან 30 დღის შემდეგ.

მუხლი 69

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მათ ტერიტორიებზე კონვენციის დებულებათა ამოქმედებისთვის.

მუხლი 70

კონვენცია ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც პასუხისმგებელია ხელშემკვრელი სახელმწიფო, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებსაც ეს სახელმწიფო გამორიცხავს კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცებისას, ანდა შემდეგ - დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

მუხლი 71

ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს ამ კონვენციის დენონსაციის უფლებამოსილება, დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინებით. დენონსაცია ძალაში შედის ასეთი შეტყობინების მიღებიდან ექვს თვეში.





მუხლი 72

70-ე ან 71-ე მუხლების მიხედვით ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შეტყობინება არ ახდენს გავლენას იმ უფლებებსა ან ვალდებულებებზე, რომლებიც კონვენციით გათვალისწინებულია ამ სახელმწიფოს, მისი შემადგენელი ნებისმიერი ქვედანაყოფისა თუ სააგენტოს, ან რომელიმე მოქალაქისთვის, და გამომდინარეობს ერთ-ერთი მათგანის თანხმობიდან ცენტრის იურისდიქციაზე, რომელიც გაცემულია დეპოზიტარის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

მუხლი 73

ამ კონვენციის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელებისა და მისი შესწორებების დეპონირება ხდება ბანკში, რომელიც ასრულებს კონვენციის დეპოზიტარის ფუნქციას. დეპოზიტარი კონვენციის დამონშებულ ასლებს უგზავნის ბანკის წევრ სახელმწიფოებსა და კონვენციის ხელმოსაწერად მოწვეულ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.

მუხლი 74

დეპოზიტარი არეგისტრირებს კონვენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსთან, ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლისა და გენერალური ასამბლეის მიერ ამ მუხლთან დაკავშირებით მიღებული რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 75

დეპოზიტარი ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს ატყობინებს:

- (ა) ხელმონწერებს, 67-ე მუხლის მიხედვით;
- (ბ) რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების სიგელების დეპონირებას, 73-ე მუხლის მიხედვით;
- (გ) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს, 68-ე მუხლის მიხედვით;



- (დ) ტერიტორიული გავრცელებიდან გამონაკლისებს, 70-ე მუხლის მიხედვით;
- (ე) ამ კონვენციის რომელიმე შესწორების ძალაში შესვლის თარიღს, 66-ე მუხლის მიხედვით; და
- (ვ) დენონსაციებს, 71-ე მუხლის მიხედვით.

შესრულებულია ვაშინგტონში, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. სამივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია და ერთი ასლის სახით დეპონირებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის არქივებში, რომელმაც ქვემოთ წარმოდგენილი ხელმოწერით განაცხადა თანხმობა კონვენციით დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე.